ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პოლიტიკა

შინაარსი

1. შესავალი - პოლიტიკის განაცხადი 3
2. პოლიტიკის მიზანი 4
3. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა..... 5
4. პოლიტიკის ძირითადი პრინციპები..... 6
5. პოლიტიკის ცვლილება, გადახედვა და უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციები 9

1. შესავალი - პოლიტიკის განაცხადი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (შემდგომში - "უნივერსიტეტი" ან "ნვუ"), იზიარებს მრავალფეროვნების, თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ფუნდამენტურ ღირებულებებს, ისწრაფვის უზრუნველყოს ღია, მრავალფეროვანი და ინკლუზიური სასწავლო და სამუშაო გარემო, სადაც მისი თითოეული წევრისთვის უზრუნველყოფილია თანაბარი და ღირსეული მოპყრობა.

განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა სტუდენტებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან წარმოადგენს ჩვენი მისიის განაცხადისა და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილს.

თანაბარი ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის დაცვის მიზნით, ჩვენი ხედვის შესაბამისად, ჩვენ ხელს ვუწყობთ მრავალფეროვან სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებასა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს.

პერსონალისა და სტუდენტების მრავალფეროვნების გაზრდა ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია, უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულება ხორციელდება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვით. ჩვენ ვაფასებთ პერსონალისა და სტუდენტების მრავალფეროვნებას სრული ღიაობით და ხელს ვუწყობთ თანასწორობას. ჩვენ ვცდილობთ კარგი პრაქტიკის გაზიარებას, წვლილის შეტანას ჩვენი ძირითადი ღირებულებების საზოგადოებაში გავრცელებასა და საზოგადოებაზე დადებით გავლენის მოხდენაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ინკლუზიური და ღია გარემოს შენარჩუნება დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის ქმედებებზე, ამიტომ, მოველით, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრები პატივისცემით მოეპყრობიან ერთმანეთს და არ დაუშვებენ დისკრიმინაციას რაიმე საფუძვლით, მათ შორის:

- რასა
- კანის ფერი
- ასაკი
- სქესი
- მოქალაქეობა
- წარმოშობა
- დაბადების ადგილი
- საცხოვრებელი ადგილი
- ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა
- რწმენა, რელიგია თუ რელიგიის არქონა

- ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება
- სოციალური სტატუსი და კუთვნილება
- ოჯახური მდგომარეობა, ქორწინება და სამოქალაქო პარტნიორობა
- ჯანმრთელობის მდგომარეობა
- შეზღუდული შესაძლებლობა
- სექსუალური ორიენტაცია
- გენდერული იდენტობა ან სქესის შეცვლა, გენდერული გამოხატვა
- ორსულობა, მშობიარობა ან მშობლის სტატუსი
- პოლიტიკური შეხედულებები
- სხვა

უნივერსიტეტი ახორციელებს და ზედამხედველობას უწევს პოლიტიკასა და პრაქტიკას, ასევე იღებს აუცილებელ ზომებს, რათა აღმოფხვრას დისკრიმინაცია ან/და ნებისმიერი უსამართლო მოპყრობა ნვუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის ფაქტობრივ, აღქმად ან/და ასოციაციურ ინდივიდუალურ მახასიათებლებზე დაფუძნებით (იხილეთ სია ზემოთ), უზრუნველყოს მტრული, დამამცირებელი და ღირსებაშემლახავი გარემოსგან თავისუფალი სამუშაო და სასწავლო პირობები.

თუკი საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრი გახდა დისკრიმინაციული ქცევის, შევიწროების ობიექტი, სამსახურში მიღების, დანიშვნის, შრომითი ურთიერთობის მიმდინარეობის ან შეწყვეტის /შეჩერების /დასრულების დროს, ისევე როგორც უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვა აქტივობებში უნივერსიტეტის საზოგადოების წევრის მიერ, უნივერსიტეტი მიიღებს სწრაფ ზომებს, რაც მოიცავს თითოეული შემთხვევის განხილვა/მოკვლევასა და გადაცდომის პროპორციული შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრებას.

თუ უნივერსიტეტში დაფიქსირებული ქცევა (თავდასხმა (ფიზიკური ან სექსუალური), დაშინება და ძალადობა ან ძალადობრივი მუქარა) სისხლის სამართლის მოქმედების სფეროში ექცევა, უნივერსიტეტი მიიღებს სწრაფ ზომებს შესაბამისი ორგანოს ჩართვისთვის.

2. პოლიტიკის მიზანი

იმის უზრუნველსაყოფად, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრი ხელმძღვანელობს თანაბარი შესაძლებლობების, თანასწორობის, პატივისცემისა და ინკლუზიის პრინციპებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ქცევის ჩარჩოს განსაზღვრას. პოლიტიკა შემუშავებულია საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, გაზიარებული და საჯაროა და ხელს უწყობს მრავალფეროვნებისა და თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულმა წევრმა უნდა დაიცვას პოლიტიკაში ასახული პრინციპები, მათ შორის უნივერსიტეტის პერსონალმა, სტუდენტებმა, მოხალისეებმა, სტაჟიორებმა, კონტრაქტორებმა, უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიების პერსონალმა, ასევე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სტუმრებმა/მონაწილეებმა.

ყველა თანამშრომელი და სტუდენტი უნდა იცნობდეს და იზიარებდეს პოლიტიკის პრინციპებს.

წინამდებარე პოლიტიკა ეხება უნივერსიტეტის საქმიანობას, მათ შორის სპორტულ, სოციალურ, კულტურულ, კურიკულუმსგარე ღონისძიებებს და კომუნიკაციას უნივერსიტეტის კედლების გარეთ (სოციალური მედიის ჩათვლით). თუმცა, თუ ნვუ-ს თანამშრომელი ან სტუდენტი ჩართულია დისკრიმინაციულ ქცევაში უნივერსიტეტის გარე კონტექსტში, უნივერსიტეტი მიიღებს აუცილებელ ზომებს, რომ უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები იყოს დაცული და დამკვიდრებული მისი წევრების მიერ კამპუსში თუ მის გარეთ.

3. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა

ნვუ იღებს პასუხისმგებლობას, გააზიაროს პოლიტიკა და მხარი დაუჭიროს მრავალფეროვნებას, თანასწორობას, მიუკერძოებლობასა და ინკლუზიას, შექმნას და დაიცვას ღია გარემო და თითოეული პიროვნების უფლებები.

უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება ისწავლოს და იმუშაოს დისკრიმინაციისა და უსამართლო მოპყრობისგან თავისუფალ გარემოში. ნვუ იღებს პასუხისმგებლობას აღმოფხვრას დისკრიმინაცია, შევიწროება და სხვა მტრული ქცევა, რომელიც ეფუძნება პიროვნების ინდივიდუალურ მახასიათებლებს (როგორც ეს აღწერილია პოლიტიკის 1-ელ მუხლში) და გააუმჯობესოს თანაბარი შესაძლებლობები მისი საზოგადოების წევრებისთვის. ჩვენ მივიღებთ აუცილებელ ზომებს შესაძლო დისკრიმინაციული ან სხვა არასათანადო ქცევის ყველა შემთხვევის მოკვლევისთვის.

ნვუ მხარს დაუჭერს და უხელმძღვანელებს სტუდენტებსა და პერსონალს, რომ გაიაზრონ პოლიტიკის მოთხოვნები, ასევე დაცულად იგრძნონ თავი არასათანადო ქცევის შესახებ შეტყობინების დროს. სტუდენტმა ან თანამშრომელმა, რომელიც შეესწრო დისკრიმინაციას ან დისკრიმინაციული ქცევის ობიექტია, უნდა განაცხადოს გადაცდომის შესახებ.

ნვუ იღებს პასუხისმგებლობას განიხილოს ყველა საჩივარი სამართლიანად, სენსიტიურად და კონფიდენციალურად. იმ პირის უსაფრთხოება, რომელიც

აცნობებს არასათანადო ქმედებებს, დაცული იქნება. ჩვენ ვუზრუნველვყოფთ საგანმანათლებლო საქმიანობის ან დასაქმების შეფერხებისგან დაცვას.

ჩვენ ასევე დავიცავთ გამოძიების ქვეშ მყოფი პირის ინდივიდუალურ უფლებებს, სანამ შემთხვევა სრულფასოვნად არ იქნება შესწავლილი.

ნვუ განიხილავს პოლიტიკის დანერგვის ეფექტიანობას. დისციპლინური კომისია, თანასწორობის ოფიცერთან ერთად, პასუხისმგებელნი არიან დისკრიმინაციული ქცევის შესწავლაზე, ისევე როგორც პერსონალისა და სტუდენტების კონსულტირებაზე პოლიტიკისა და ზოგადად, თანასწორობასთან, მრავალფეროვნებასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ღია, ინკლუზიურ და მრავალფეროვან გარემოს, სადაც თითოეული წევრი თავს უსაფრთხოდ გრძნობს და აქვს შესაძლებლობა მოახდინოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება, მრავალფეროვანი გამოცდილებითა და შეხედულებებით სასწავლო და სამუშაო გარემოს გამდიდრება.

ნვუ-ს საზოგადოების თითოეული წევრის მიმართ მოპყრობა იქნება სამართლიანი და ყველას მიეცემა თანაბარი შესაძლებლობები, მიუხედავად ინდივიდუალური მახასიათებლებისა, რაც მითითებულია მუხლში 1. უნივერსიტეტი ნერგავს პოლიტიკას, პრაქტიკასა და პროცედურებს ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად და აკონტროლებს მათ წარმატებულ განხორციელებას, ეფექტურობას და გავლენას.

1. სტუდენტები, სტუდენტთა მიღება და პროგრესია

- უნივერსიტეტი მიისწრაფვის უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები სტუდენტებისთვის მთელი მსოფლიოდან. მიღების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შესაბამის, მკაფიო და კონკრეტულ დაშვების კრიტერიუმებს, რომლებიც წინასწარ ცნობილია აპლიკანტისთვის.
- უნივერსიტეტი იღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ სტუდენტების შეფასება და პროგრესი დაფუძნებული იყოს მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე და დაცული იყოს ყოველგვარი მიკერძოებისგან.
- ნვუ მხარს უჭერს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, უფლებამოსილია განახორციელოს სპეციალური ღონისძიებები თანაბარი

შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, სტუდენტთა ჯგუფებისთვის, რომელთაც შეიძლება დასჭირდეთ სპეციალური მხარდაჭერა.

- ყველა სტუდენტს აქვს თანაბარი წვდომა ნვუ-ს მიერ შეთავაზებულ განათლებაზე, უნივერსიტეტის ქონებაზე, სერვისებსა და შეღავათებზე (გარდა სპეციალური ღონისძიებებისა, რომელიც შეიძლება დაიგეგმოს სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფისთვის). უნივერსიტეტის აქტივობებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ყველა სტუდენტისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

2. პერსონალი, პერსონალის დანიშვნა და პროგრესია

- ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, რომ პერსონალის დასაქმება, ისევე როგორც მათი სამუშაო ადგილზე პროგრესია დამოკიდებული იყოს მხოლოდ კონკრეტული თანამდებობისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და კონკრეტული პერსონალის მუშაობის შედეგებსა და კვალიფიკაციაზე. წინამდებარე პოლიტიკაში ასახული პრინციპების დაცვით, პერსონალის წევრები/აპლიკანტები არ იქნებიან დისკრიმინირებული სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ორსულობის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, გენდერული იდენტობის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით (იხ. მუხლი 1), რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაო მოთხოვნებთან.
- უნივერსიტეტში მიიღება შესაბამისი ზომები სამუშაო ადგილზე ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და ყველა პერსონალისთვის უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს უზრუნველსაყოფად. მენეჯერები, ადმინისტრაციული ერთეულების ან კომიტეტების ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან სამუშაო ადგილას დაცული და ღია გარემოს უზრუნველყოფაზე. თანამშრომლები, რომლებიც ქმნიან მტრულ გარემოს სამუშაო ადგილზე, დაექვემდებარებიან დისციპლინურ ზომებს. განმეორებადმა მტრულმა ქცევამ შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომლის გათავისუფლება.
- ნვუ იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თანაბარი ანაზღაურება თანამშრომლებისთვის, დასაქმებულთა ანაზღაურება განისაზღვრება მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის მოთხოვნებით. დასაქმებულთა ინდივიდუალურმა მახასიათებლებმა (რომელიც არ არის დაკავშირებული სამუშაო მოთხოვნებთან და თანამშრომლის კვალიფიკაციასთან), მათ შორის სქესმა, ეროვნებამ თუ სხვამ არ უნდა იმოქმედოს ანაზღაურების დიაპაზონზე.

3. სოციალური ჩართულობა და სერვისები

- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სოციალური ჩართულობის აქტივობები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად პოლიტიკაში აღწერილი მახასიათებლებისა.

- გარანტირებული უნდა იყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული უწყვეტი განათლების შესაძლებლობებზე.
- უნივერსიტეტი დაგეგმავს და განახორციელებს სოციალური ჩართულობის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ან/და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ინტეგრაციას და ემსახურება საზოგადოების ფართო სპექტრის სარგებელს.
- უნივერსიტეტი, სპორტული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელს შეუწყობს და წაახალისებს სპორტში სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას.
- საუნივერსიტეტო რესურსები, სერვისები, შეღავათები, ღონისძიებები და აქტივობები თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრისთვის, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, გენდერული იდენტობისა თუ სხვა მახასიათებლებისა, როგორც ეს აღწერილია პოლიტიკაში.
- უნივერსიტეტი უფლებამოსილია, დაგეგმოს და განახორციელოს სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები, რომელიც ემსახურება კონკრეტული ჯგუფების მომსახურებას, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების კეთილდღეობას, სპეციალური პროგრამების/ღონისძიებების ფარგლებში.

4. აკადემიური თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება

- ჩვენ ვაფასებთ აკადემიურ და სიტყვის თავისუფლებას როგორც აკადემიური საზოგადოების განუხრელ ღირებულებას. აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტში დაცულია შესაბამისი რეგულაციებითა თუ ნორმებით, მაგრამ აკადემიური თავისუფლება თუ სიტყვის თავისუფლება ვერ იქნება გამოყენებული დისკრიმინაციული ქცევისა თუ განცხადებების გამართლებისთვის. უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრი უნდა ჩაერთოს დისკუსიაში, კვლევასა თუ სხვა აქტივობებში, თითოეული ინდივიდის მიმართ შესაბამისი პატივისცემითა და პასუხისმგებლობით.

5. დამხმარე სერვისები

- უნივერსიტეტი განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რომ მხარი დაუჭიროს დისკრიმინაციული ქცევის, შევიწროვებისა თუ სიძულვილის ენის ობიექტებს. უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს, ვინც იყო ობიექტი აღწერილი ქცევის, საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ ფსიქოლოგიური სერვისებითა და იურიდიული დამხარებით კამპუსში, გადასახადის დაკისრების გარეშე.

5. პოლიტიკის ცვლილება, გადახედვა და უნივერსიტეტის მოქმედი რეგულაციები

წინამდებარე პოლიტიკა ექვემდებარება პერიოდულ რევიზიასა და ცვლილებებს, მისი ეფექტიანობის შეფასების საფუძველზე.

პოლიტიკის აღსრულება ასევე უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესით.